



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

15 ოქტომბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 314

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების -
სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზიანებული ხეების გამოყენებისა და
გადამუშავებისათვის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების გასხვისებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 26 აპრილის №42 განკარგულების შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდში არსებული სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზიანებული ხეების გამოყენებისა და გადამუშავებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნას დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) სულიკო ვასაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი – კომისიის ხელმძღვანელი;
- ბ) თამაზი ცერცვაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი – კომისიის წევრი;
- გ) ავთანდილ მახარაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი – კომისიის წევრი;
- დ) არჩილ ღლონტი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი – კომისიის წევრი;

2. დროებით კომისიას დაევალოს:

- ა) აღრიცხოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდში არსებული სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზიანებული ხეები, რომლებსაც დაკარგული აქვთ ფუნქცია დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე;
- ბ) შეადგინოს დასკვნა სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზიანებული ხეების ვარგისიანობისა და მისი შესაძლო გამოყენებისა და გადამუშავებისათვის, რომელსაც წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგეობას;

გ) შეადგინოს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდში გამოსწორული ხეების (ქარსაფარი ზოლების) აღდგენის (განახლების) გეგმა და გეგმის განხორციელების სავარაუდო თარიღები;

დ) დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს მიმდინარე წლის 15 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე